

თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი

ორგანო - საკრებულოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №03/227

ქ. ბათუმი, 11 თებერვალი 2014 წ

„ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის №1-1/1254 ბრძანების, „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილების, „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილების, „ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472, 00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 06 იანვრის №02/05 ბრძანებისა და „ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 03 თებერვლის №03/131 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების მოსამზადებლად დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო ადმინისტრაციული წარმოება განახორციელოს ქ. ბათუმის მერიამ.

2. ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავება და ქ. ბათუმის მერიი-

სადმი წარდგენა დაევალოს ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 3 472,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.32.12.046) მესაკუთრეს - იურიდიულ პირს შპს „ორბი ჯგუფს“, ხოლო აღნიშნული მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოდგენა დაევალოს ქ. ბათუმის მერიას.

3. ბრძანების მომზადებისა და გამოცემისას გამოყენებულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

4. ბრძანების მომზადებისა და გამოცემის ვადა განისაზღვროს წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან 2014 წლის 13 მარტის ჩათვლით. აღნიშნულის თაობაზე განმეორებით მიეთითოს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულ საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობაში.

5. განსახილველ საქმეზე ზეპირი სხდომა გაიმართოს 2014 წლის 10 მარტს 15⁰⁰ საათზე (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, მეორე სართული, საკრებულოს სხდომათა დარბაზი).

6. ბრძანების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვროს ბრძანების პროექტის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში. აღნიშნულის თაობაზე განმეორებით მიეთითოს ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად გამოქვეყნებულ საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობაში.

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენის მიზნით იგი გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მერიის ინტერნეტგვერდზე.

9. წინამდებარე ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი ჩავლეიშვილი